

თემა 4. კონკურენციის პოლიტიკა

თემის შესწავლის შემდგომ თქვენ შეძლებთ:

- ისაუბროთ კონკურენციის კანონმდებლობის მოდელებზე
- ახსნათ მონოპოლიის არსებობით გამონკვეული საზოგადოებრივი დანაკარგები და რეგულირების მეთოდები
- ახსნათ კეთილდღეობის ეკონომიკის პირველი და მეორე თეორემის შედეგები

კონკურენციული კანონმდებლობის მოდელები. კონკურენცია ლათინური სიტყვიდან მოდის და „შეტაკება“, „შეჯახება“ ნიშნავს. კონკურენციის ქვეშ იგულისხმება სამეურნეო სუბიექტებს შორის ისეთი შეჯიბრი, რომლის დროსაც ისინი ეფექტიანად და კანონიერად ზღუდავენ მეტოქის შესაძლებლობას, უპირატესობა მოიპოვოს ბაზარზე.

იმ პირობებში, როცა მასშტაბის ზრდით მიღებული ეკონომია მნიშვნელოვანია, ფირმა სრულყოფილი კონკურენციის ვერ იქნება. ასეთ დარგში ფასი მეტია ზღვრულ ამონაგებზე ($P > MR$). არასრულყოფილი კონკურენციის ფირმები ბაზრის სირთულეების წყაროდ იქცევა.

საზოგადოდ, „კონკურენციის კანონმდებლობის“ წარმოშობა დაკავშირებულია, ცალკეულ ქვეყნებში საბაზრო ურთიერთობების განვითარებასთან და საერთაშორისო ეკონომიკურ თანამშრომლობაში მიმდინარე ცვლილებებთან. შეიძლება ითქვას, რომ კონკურენციის კანონმდებლობის შესაქმნელად ნიადაგის მომზადებას, ერთი მხრივ, ხელი შეუწყო ეკონომიკური და სამართლებრივი ხასიათის მიზეზებმა. ხოლო მეორე მხრივ, მისი წარმოშობა განაპირობეს იმ გარემოებებმა, რომლის თანახმადაც, მხოლოდ სამოქალაქო სამართლის ნორმებზე დაყრდნობით მონოპოლიზების პროცესების სახელმწიფოებრივი რეგულირების ზომები უკვე აშკარად არაადექვატური და არასაკმარისი იყო. ეს კი მოითხოვდა კონკურენციის სამართლის გამოყოფას სამოქალაქო სამართლისგან და კონკურენციის საკითხებზე ყურადღების მაქსიმალურ კონცენტრირებას.

„კონკურენციის კანონმდებლობის“ ცნების ქვეშ ასევე მოიაზრება, სხვადასხვა ქვეყნების ანტიმონოპოლიური (ანტიტრესტული) კანონმდებლობა, იმ საერთაშორისო ხელშეკრულებების ნორმებთან ერთად, რომელთა შესაბამისადაც ხორციელდება კონკურენციის რეგულირება საერთაშორისო ბაზრებზე. საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებამ და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (მსო) შექმნამ, რომლის მიზანია, მისი წევრი ქვეყნებისათვის ვაჭრობის საერთაშორისო წესების შემუშავება, ასევე რეგიონული ეკონომიკური კავშირების წარმოქმნამ საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე, გამოიწვია უცხოურ იურიდიულ ლიტერატურაში ადრე დამკვიდრებული „ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის“ ცნების შეცვლა „კონკურენციის კანონმდებლობის“ ცნებით.

თავისთავად კონკურენციის კანონმდებლობის რეალობაში გატარება დიდად არის დამოკიდებული იმ მიზნებსა და ცნებებზე, რომლებსაც თვითონ ეს კანონმდებლობა ეყრდნობა. კონკურენციის კანონები განვითარებად ქვეყნებში უმთავრესად ეყრდნობა *ორ ძირითად ცნებას: 1) საბაზრო ძალა(უფლება); 2) დომინირება.*

„საბაზრო ძალის“ ცნება უდევს საფუძვლად აშშ-ს, ხოლო „დომინირების“ ცნება ევროპის კავშირისა და მისი წევრი ქვეყნების კანონმდებლობას. აღნიშნული ცნებები ასევე იქნა გათვალისწინებული გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების კონკურენციის შესახებ კანონებში.

ჩვეულებრივ განასხვავებენ **კონკურენციული კანონმდებლობის ამერიკულ და ევროპულ მოდელებს.**

აშშ-ში, რომელიც აღიარებულია ანტიტრესტული კანონმდებლობის სამშობლოდ, ფუნქციონირებს კონკურენციული ეკონომიკის უზრუნველმყოფი სამი ძირითადი კანონი:

1) „შერმანის“ (1890 წ.);

2) „კლეიტონის“ (1914 წ.);

3) „ვაჭრობის ფედერალური კომისიის შესახებ“ (1914 წ.). თავის მხრივ, კანონში 1976 წელს შეტანილმა ცვლილებამ (იგივე „ჰარტ-სკოტ-როდინოს“ კანონი), დაავალდებულა ეკონომიკური აგენტები წინასწარ შეატყობინონ იუსტიციის სამინისტროს ანტიტრესტულ დეპარტამენტს და ფედერალური ვაჭრობის კომისიას მოსალოდნელი შერწყმების შესახებ.

ამგვარად, **ამერიკული მოდელი**, გამოდის რა ბაზრის მონოპოლიზების წინააღმდეგ თავიდანვე (დომინირებული მდგომარეობის დაკავებამდე) **მკაცრ კონტროლს აწესებს იმ პროცესებზე, რომელიც ხორციელდება, ძირითადად ეკონომიკურ აგენტთა შერწყმისა და გაერთიანების საფუძველზე**. ანტიტრესტულ კანონმდებლობაში ჩართულია აგრეთვე ნორმები არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ. ეს მოდელი აშშ-ს გარდა, მოქმედებს კანადაში, იაპონიაში, არგენტინაში და ა.შ.

საბაზრო წილებთან დაკავშირებით აშშ-ში მოქმედი საკანონმდებლო აქტების მიხედვით, სასამართლოები თვლიან, რომ 80-90% და უფრო მაღალი საბაზრო წილი საკმარისია საიმისოდ, რომ მოპასუხე მიჩნეულ იქნეს მონოპოლისტად. ასევე მიჩნეულია, რომ 50%-ზე ნაკლები საბაზრო წილი არასაკმარისია. სასამართლოების უმეტესობა ინარჩუნებს პოზიციას, რომ თუ ფირმის საბაზრო წილი 70%-ზე ნაკლებია, იგი არ უნდა ჩაითვალოს მონოპოლიური ძალაუფლების მქონედ.

კონკურენციული კანონმდებლობის **ევროპული მოდელი** კი, უპირველეს ყოვლისა **მიმართულია მონოპოლიური (დომინირებული) მდგომარეობის ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ, მონოპოლიებზე ზედამხედველობისა და კონტროლის უზრუნველყოფისაკენ**. ნორმები არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ ევროპულ მოდელში გამოყოფილია ცალკე კანონის რეგულირების სფეროდ. აღნიშნული მოდელი გამოიყენება დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში და ევროპის რიგ ქვეყნებში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში.

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე პერიოდში კონკურენციის კანონმდებლობის განვითარება მიდის დაახლოებისა და უნიფიცირების გზით, როგორც ცალკეულ ქვეყნებში, რომლებმაც მიიღეს ესა თუ ის მოდელი, ასევე განსხვავებათა ნაშლის გზით ამ ორ მოდელს შორის. ეკონომიკური და სამართლებრივი ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის ფონზე დღის წესრიგში დადგა კონკურენციის წესების, კონკურენციული პოლიტიკის ერთიანი ნორმებისა და მიდგომების შექმნის აუცილებლობის საკითხი. პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით გადაიდგა ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ჩარჩოებში; კერძოდ, „რომის შეთანხმების“ საფუძველზე მიღებულ იქნა ამ გაერთიანების ყველა ქვეყნისათვის კონკურენციის ერთიანი წესები, შეიქმნა შესაბამისი ორგანიზაციული საფუძველები მათი რეალიზებისათვის.


ევროკავშირის კანონმდებლობა კონკურენციის შესახებ, შეიძლება მივაკუთვნოთ კანონმდებლობის **ახალ (მესამე) მოდელს**, რომელიც წარმოიშვა და ყალიბდება საერთაშორისო სამართლის ნორმების ბაზაზე. ევროკავშირის რეკომენდაციით, დღეისათვის შესაბამის სასაქონლო ბაზარზე ეკონომიკური აგენტი მიჩნეულია დომინირებულად, თუ მისი წილი ამ ბაზარზე შეადგენს არანაკლებ 1/3-ს. ამასთან, ორ ეკონომიკურ აგენტს უჭირავს დომინირებული მდგომარეობა, თუ მათი ერთობლივი წილი შესაბამის ბაზარზე შეადგენს არანაკლებ 50%-ს, ხოლო სამი და მეტი ეკონომიკური აგენტი ითვლება დომინირებულად, თუ მათი ერთობლივი წილი კონკრეტულ სასაქონლო ბაზარზე შეადგენს არანაკლებ 2/3-ს.

მონოპოლიური ძალაუფლების საზოგადოებრივი დანაკარგები

ვიციტ, რომ როცა საბაზრო სიძნელეები არ არსებობს, კონკურენციული წონასწორობა პარეტო-ეფექტიანია. თუ ბაზარი არასრულყოფილი კონკურენციისაა, ვამბობთ, რომ თითოეული ფირმა ფლობს

მონოპოლიურ ძალაუფლებას. ფასის გადაჭარბება ზღვრულ შემოსავალსა და ზღვრულ დანახარჯზე არის ფირმის მონოპოლიური ძალაუფლების საზომი.

ისმის შეკითხვა: რა მოჰყვება, კონკურენტული სანარმოს გადაცემას ერთი ცალკეული ფირმისთვის, რომელიც შემდეგ იმოქმედებს, როგორც მონოპოლისტი, რომელიც მრავალ სანარმოს ფლობს? ნახაზი 4.1 მოგვცემს ამ შეკითხვაზე პასუხს.



ნახ.4.1. მონოპოლია საზოგადოებრივი დანაკარგებით.

სრულყოფილი კონკურენციის პირობებში გრძელვადიანი ზღვრული დანახარჯების მრუდი LMC არის, როგორც დარგის გრძელვადიანი ზღვრული დანახარჯების მრუდი, ისე მისი მიწოდების მრუდი. მასშტაბიდან მუდმივი უკუგების პირობებში LMC ასევე არის გრძელვადიანი საშუალო დანახარჯების მრუდიც. მოცემული D მოთხოვნის პირობებში კონკურენტული წონასწორობა მიიღწევა B წერტილზე, კონკურენტული დარგი უშვებს Q_c რაოდენობის პროდუქტს P_c ფასად.

ეტყვით, დარგი გადაეცა მონოპოლისტს, რომელიც უშვებს Q_m რაოდენობას P_m ფასად, რითაც ერთმანეთთან ათანაბრებს ზღვრულ დანახარჯსა და ზღვრულ შემოსავალს. $P_m P_c A C$ მართკუთხედი გვიჩვენებს მონოპოლისტის მოგებას Q_m -ის გაყიდვით იმ ფასად, რომელიც ზღვრულ და საშუალო დანახარჯებზე მეტია. $A C B$ სამკუთხედი გვიჩვენებს მონოპოლიური ძალაუფლების საზოგადოებრივ დანახარჯს (Social Cost of Monopoly Power) ანუ დანაკარგებს (Deadweight Burden). რატომ? იმიტომ, რომ Q_m -ის დროს გამოშვების სხვა ერთეულის საზოგადოებრივი ზღვრული სარგებელი არის P_m , მაგრამ საზოგადოებრივი ზღვრული დანახარჯი არის მხოლოდ P_c . საზოგადოებას სურს, გააფართოოს გამოშვება კონკურენტულ B წერტილამდე (Q_c), როცა ზღვრული საზოგადოებრივი სარგებელი და ზღვრული საზოგადოებრივი დანახარჯი თანაბარია ($MSB = MSC$). $A C B$ სამკუთხედი გვიჩვენებს, საზოგადოებრივი მოგების ან სარგებლის სიჭარბეს გამოშვების გაფართოების დანახარჯებთან შედარებით, სამაგიეროდ, გამოშვების Q_m -მდე შემცირებით მონოპოლისტი თავს გვახვევს, რომ საზოგადოებრივი დანახარჯი (დანაკარგი) $A C B$ -ს ტოლი იყოს.


მთლიანად ეკონომიკისთვის მონოპოლიური ძალაუფლების სახელმწიფო დანახარჯი მიიღწევა ყველა ფირმის დანაკარგების ისეთი სამუთხედების (Deadweight Burden Triangles) თავმოყრით, როგორცაა მაგალითად $A C B$.

კერძო მონოპოლიების რეგულირება

მასშტაბის ზრდით მიღებულმა ეკონომიამ შეიძლება მიგვიყვანოს ისეთ მონოპოლიასთან ან სხვა არასრულყოფილი კონკურენციის ფირმასთან, სადაც რესურსები არარაციონალურადაა განაწი-

ლებული. სახელმწიფო ჩარევა შეიძლება ორი სახის იყოს: **პირველი** - სახელმწიფომ უბრძანოს დიდი ფირმებს, დაიყონ პატარ-პატარა დამოუკიდებელ კომპანიებად, იმ იმედით, რომ ისინი უფრო კონკურენტულნი იქნებიან (ე.წ. სტრუქტურული მიდგომა); ან **მეორე** - შეიძლება სახელმწიფომ დიდი ფირმები ხელუხლებელი დატოვოს, მაგრამ ეცადოს აკონტროლოს მათი საქმიანობა ფასებსა და მოგებაზე თვალყურის დევნებით; ამასთან უკარნახოს ფასების შემცირება, თუ ფირმები შეეცდებიან თავიანთი პოტენციური მონოპოლიური ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას.

განვიხილოთ ნახაზი 4.2. დავუშვათ, კონკურენტულ პატარა ფირმას აქვს მიწოდების მრუდი და გრძელვადიანი ზღვრული დანახარჯის მრუდი LMC . ამავე დროს, მასშტაბის ეკონომიის უპირატესობით მოსარგებლე მონოპოლისტს აქვს გრძელვადიანი ზღვრული დანახარჯის LMC' მრუდი. კონკურენტული ფირმა აწარმოებს Q_C , რათა წონასწორობას მიაღწიოს E წერტილზე, მონოპოლისტი კი $MR = LMC'$ -ის გათანაბრებით უფრო დაბალ LMC' მრუდის დონეზე აწარმოებს Q_M -ს, რათა წონასწორობას მიაღწიოს E' წერტილზე.



ნახ.4.2. მონოპოლია შემცირებული დანახარჯებით

რომელი გამოშვებაა უფრო სასარგებლო საზოგადოებისთვის? დავინწყით მონოპოლისტის მიერ Q_M გამოშვებით. ეს უკანასკნელი რომ კონკურენტულ საწარმოს ეწარმოებინა, საზოგადოება დაკარგავდა B ოთხკუთხედს (ნახაზზე 4.2.). ესაა ჭარბი რესურსის რაოდენობა, რომელსაც კონკურენტული დარგი გამოიყენებს, ვინაიდან მას აქვს უფრო მაღალი საშუალო და ზღვრული დანახარჯები. შედეგად მიიღება სოციალური დანაკარგები, რომელიც A სამკუთხედის ტოლია. თუმცა, მონოპოლისტის მიერ მასშტაბის ეკონომიითა და შედეგად დაბალი დანახარჯებით მიღებული B ოთხკუთხედის სიდიდე, გადააჭარბებს A სამკუთხედის სიდიდეს, რითაც მიიღწევა საზოგადოებრივი დანაკარგების კომპენსირება.

ამგვარად, მასშტაბის ზრდით მიღებულ, რაც უფრო მეტ ეკონომიას და დაბალ საწარმოო დანახარჯებს მიაღწევს მონოპოლისტი, მით უფრო გადააჭარბებს A სამკუთხედს B ოთხკუთხედს. მონოპოლიიდან წარმოშობილი საწარმოო დანახარჯების შემცირება დეფიციტის დანახარჯების სამკუთხედს უფრო აანაზღაურებდა და საზოგადოება მონოპოლიის არსებობით მოგებას მიიღებდა.

ზემოაღნიშნულის დემონსტრირებაა დიდი ბრიტანეთის მონოპოლიური პოლიტიკა, რომელიც შედარებით პრაგმატულია. მაგალითად, კომპანიები „პიკინგტონ გლასი“ (მანქანის საქარე მინების მწარმოებელი) და „რენკ ქსეროქსი“ (ასლების გადამღები) გაამართლეს უზარმაზარი საბაზრო წილის და მოგების მიუხედავად, ვინაიდან, ორივე შემთხვევაში კომისიამ ჩათვალა, რომ ეს კომპანიები ეფექტიანად მართავდნენ და არსებითად ამცირებდნენ საწარმოო დანახარჯებს.

გაერთიანებები

ორ მოქმედ ფირმას შეუძლია ნებაყოფლობით გაერთიანდეს, ორი სხვადასხვა გზით: პირველი, ერთ ფირმას შეუძლია შესთავაზოს აქციების საკონტროლო პაკეტის ყიდვა სხვა ფირმას მეორე ფირმის აქციების გამოსყიდვის წინადადებით. „მსხვერპლი“ ფირმის მენეჯერები, ჩვეულებრივ, ეწინააღმდეგებიან ასეთ პრაქტიკას, რადგან კარგავენ სამუშაოს, აქციის მფლობელები კი მიიღებენ ასეთ წინადადებებს, თუ ეს შეთავაზება სარფიანია. მეორე, შერწყმის გზით. საზოგადოდ, ფირმების ასეთი კავშირი მათსავე ინტერესს ემსახურება, მაგრამ საკითხავია, ემსახურება თუ არა ეს საზოგადოებრივ ინტერესებს, რადგან გაერთიანებებმა შეიძლება შექმნან მონოპოლიური ძალაუფლება.

განვასხვაოთ სამი ტიპის გაერთიანება. წარმოების პროცესს რამდენიმე საფეხური აქვს: მაგალითად, პირველი საფეხური რკინის მადნის მოპოვებაა, მეორე - ფოლადის დამზადება ამ ნედლეულით, მესამე - ამ ფოლადისაგან ავტომობილების გამოშვება. **ჰორიზონტული შერწყმა (Horizontal Merger)** გულისხმობს ორი ფირმის კავშირს ერთსა და იმავე სანარმოო საფეხურზე ერთსა და იმავე დარგში (მაგალითად, ფოლადის ორი მწარმოებლის ან მანქანების ორი მწარმოებლის შეერთება). **ვერტიკალური შერწყმა (Vertical Merger)** გულისხმობს ორი ფირმის კავშირს წარმოების სხვადასხვა საფეხურზე ერთიდაიმავე დარგში, მაგალითად, როცა ავტომობილების წარმოება უერთდება ფოლადის წარმოებას.

და ბოლოს, არის **კომერციული შერწყმა (Conglomerate Mergers)**, როცა ორი სხვადასხვა პროფილის ფირმის სანარმოო საქმიანობა ერთმანეთს უკავშირდება; მაგალითად, თამბაქოს დამამზადებელი ფირმა, რომელმაც გაათვითცნობიერა, რომ სიგარეტის ბაზარი რეცესიის ფაზაშია და შეიძლება (მისთვის უმჯობესია) შეუერთდეს საპარფუმერიო კომპანიას ან შაქრის მწარმოებელს.

ბუნებრივი მონოპოლიის რეგულირება


ყველაზე მნიშვნელოვანი საბაზრო ჩავარდნა, რომელიც ინვესტორებს კერძო დოვლათის წარმოებას სახელმწიფოს მიერ, აღმოცენდება, მაშინ როცა ბაზარი არ არის კონკურენტული. ესაა იმის ნაწილობრივი ახსნა, რომ სახელმწიფო უზრუნველყოფს საფოსტო მომსახურებას, ტელეკომუნიკაციებს, წყლის მიწოდებას, ნაოსნობას, ელექტროენერჯიას. ეს დარგები ხასიათდება პროდუქტის რაოდენობის ზრდის შედეგად მასშტაბიდან ზრდადი უკუგებით და შედეგად კლებადი საშუალო დანახარჯებით. ამ შემთხვევებში ეკონომიკის ეფექტიანობა მოითხოვს დარგებში მოქმედი ფირმების მცირე რიცხვს. **დარგებში სადაც ზრდადი უკუგება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ყველა რეგიონში მხოლოდ ერთი ფირმის მოქმედებაა ეფექტიანი, ასეთ ფირმას ეწოდება ბუნებრივი მონოპოლია** (იხ. ნახ. 4.3). მაგალითად, წყლის მიწოდების ძირითადი დანახარჯები არის მიწების ქსელი. თუ, მიწები ერთხელ უკვე გაყვანილია, ერთი დამატებითი მომხმარებლისთვის წყლის მიწოდება ძალიან მცირე დანახარჯებთან იქნება დაკავშირებული. ნათელია, რომ მიწების ორი ქსელის არსებობა ორი მეზობლისთვის წყლის მისაწოდებლად არაეფექტიანი იქნება. ასეთივე შინაარსისაა ელექტროენერჯიის, საკაბელო სატელევიზიის, დასუფთავების და ბუნებრივი გაზის მიწოდებაც.

ნახაზის 4.3 მიხედვით, მონოპოლიას აქვს D მოთხოვნის მრუდი და შესაბამისად MR ზღვრული ამონაგების მრუდი. მონოპოლისტი გამოუშვებს Q_M და იღებს P_M CBE სარგებელს. ამ გამოშვების დროს საზოგადოებრივი ზღვრული სარგებელი P_M აჭარბებს საზოგადოების ზღვრულ დანახარჯებს, რაც მოცემულია A წერტილით. მონოპოლისტი აწარმოებს ძალიან ცოტას. საზოგადოებრივი ზღვრული დანახარჯი და ზღვრული საგებელი Q' გამოშვების დროს თანაბარია და E' არის საზოგადოებისთვის წარმოების ეფექტიანი წერტილი. კერძო მონოპოლია ქმნის დეფიციტის AEE' დანახარჯებს.

დავუშვათ, თქვენ იყავით მონოპოლიებისა და გაერთიანებების კომისიაში და ამონებდით რომელიმე მონოპოლისტს. რა არჩევანი გაქვთ? თუ დაშლით გაერთიანებას, მიიღებთ მრავალ პატარა ფირმას, რომელიც აწარმოებს უფრო მაღალი საშუალო დანახარჯებით, ანუ ადგილი აქვს საზოგა-

დოების რესურსების ფლანგვას. თუ შეგიძლიათ აიძულოთ კომპანია, აწარმოოს საზოგადოებრივად ეფექტიანი E' წერტილის დონეზე, მაშინ მიიღება ნავარაუდები Q' გამოშვება და იგი ზარალიანი აღმოჩნდება. მაშასადამე, გრჩებათ არჩევანის ერთი გზა - თქვენ აიძულებთ კერძო ფირმებს, რომ იზარალონ - სანაცვლოდ ისინი შეწყვეტენ მუშაობას. აქ გამოსავალია საშუალო დანახარჯების ტოლი ფასის $P = LAC$ დანესება.

ძალიან ცოტა ქვეყანა რთავს ნებას არარეგულირებულ ბუნებრივ მონოპოლიებს აწარმოონ E წერტილის დონეზე და საზოგადოებას დააკისრონ დანაკარგები AEE' . ამ გადაწყვეტილების პირველი ნაბიჯი არის მარეგულირებელი ორგანოს არსებობა. მისი მიზანია, რაც შეიძლება მიუახლოვდეს საზოგადოებრივად ეფექტიან E' განთავსებას. უკეთესი გადაწყვეტილებაა, ნება მისცე მონოპოლისტს - გადაიხადოს ორნაწილიანი ტარიფი.



ნახ. 4.3. ბუნებრივი მონოპოლია

ორნაწილიანი ტარიფი (*Two-part Tariff*) არის ისეთი საფასო პოლიტიკა, როცა მომხმარებელი ჯერ იხდის ფიქსირებულ თანხას მომსახურების უფლებაზე და შემდეგ ერთ ერთეულზე იხდის ფასს, რაც წარმოების ზღვრულ დანახარჯს ასახავს.

ამგვარად, ორნაწილიანი ტარიფის მიზანია გამოიყენოს ფიქსირებული გირაო ფიქსირებული დანახარჯის გადასახდელად და შემდეგ ამოიღოს ზღვრული გადასახადები ზღვრული დანახარჯის დასაფარად. ის ამ სისტემაში მოქმედებს, როგორც მომხმარებლებზე აკორდული გადასახადი.

ნახაზის 4.3 მიხედვით მონოპოლისტს შეიძლება მიეთითოს, რომ გადაიხადოს P_C პროდუქტის თითოეულ ერთეულზე. მომხმარებელი მოითხოვს საზოგადოებრივად ეფექტიან Q' რაოდენობას. რადგან მონოპოლისტი ახლა P_C რეგულირებადი ფასის ამღებად გამოდის, მისთვის ზარალის მინიმუმადე დაყვანა შეუძლია Q' წერტილის დონეზე წარმოებას, როცა ფასიც და ზღვრული ამონაგებიც უტოლდება ზღვრულ დანახარჯს. თუ მარეგულირებელი ორგანო გადაწყვეტს ამოცანას, მაშინ იგი შესაძლებლობას მისცემს მონოპოლისტს აკრიფოს ფიქსირებული გადასახადის მინიმუმი, რაც საჭიროა იმის საგარანტიოდ, რომ მონოპოლისტმა იმუშაოს ნულოვანი ზრდით შესაფერისი ეკონომიკური ხარჯების გათვალისწინებით.

ორნაწილიანი ტარიფი არ არის ოპტიმალური გამოსავალი. თუ ფინანსური გადასახადი ძალიან მაღალია, მან შეიძლება აიძულოს ადამიანები, თავი დაანებონ ამ პროდუქტის მოხმარებას. უფრო მეტიც, რამდენადაც იოლი იქნება ფინანსური გადასახადის შეგროვება ტელეფონების ან გაზის

მომხმარებლებიდან, იმდენად რთული იქნება ფიქსირებული გადასახადის აღება რკინიგზით მგზავრობიდან. ამ პოლიტიკის ცხოვრებაში გატარებით დანახარჯები შეიძლება მეტისმეტად გაიზარდოს.

ბუნებრივი მონოპოლიის პრობლემის მესამე გადაწყვეტა არის ის, რომ უბრძანო მონოპოლისტს - ანარმოს საზოგადოებრივად ეფექტიანი E' წერტილის დონეზე და შესაბამის P_C ფასად, მაგრამ გამოიყენოს სახელმწიფო სუბსიდიები ზარალის დასაფარად. სახელმწიფომ კი აუცილებლად უნდა დაარწმუნოს კომპანია, რომ იგი არ უნდა ელოდეს სუბსიდიების დახმარების გარანტიას იმ ზარალის დასაფარად, რაც ფირმის უუნარობასა და არაეფექტიან მუშაობას მოჰყვება. საზოგადოებისთვის სასურველია Q' ეფექტიანი პროდუქტის წარმოება ხარჯების მინიმუმადე დაყვანით. ამგვარად იქ, სადაც სუბსიდიით ხდება საკითხის გადაწყვეტა, ადგილი აქვს სახელმწიფოზე ზენოლას, მთლიანად აილოს ხელთ მრეწველობის მართვა ისე, რომ ყველა ოპერაცია ზედმინევენით შემოწმდეს.

ბუნებრივი მონოპოლიების საკითხის გადაწყვეტის დროს ორი პრობლემა იჩენს თავს: პირველი, ძნელია დაარწმუნდე, რომ სანარმო, მართლაც, მინიმუმამდე ამცირებს დანახარჯებს. მეტისმეტად მაღალი დანახარჯები შეიძლება გადაწყდეს საშუალო დანახარჯების ტოლი ფასის დადგენით (I გადაწყვეტა), მას შედეგად მოჰყვეს უფრო მაღალი მუდმივი ხარჯები, რათა უზრუნველყოს უდანაკარგობა ორნაწილიანი ტარიფით (II გადაწყვეტა), ან შეუძლია, მოითხოვოს უფრო მეტი სუბსიდია (III გადაწყვეტა). თითოეულ შემთხვევაში მარეგულირებელი ორგანო რთული ამოცანის წინაშე დგას — ძნელია დაარწმუნოს საზოგადოება, რომ ბუნებრივი მონოპოლიის მართვა ეფექტიანია და შესაძლებელი.

მეორე პრობლემა არის რეგულატორული ტყვეობა (*Regulatory Capture*). რეგულატორული ტყვეობა გულისხმობს, რომ ის, ვინც მარეგულირებელია, თავისი ინტერესებით თანდათანობით გაიგივდება იმ ფირმის ინტერესებთან, რომელსაც ის არეგულირებს, და ხდება მისი მხარდამჭერი და არა მისი შემწონებელი.


ნათელია, რომ დასარეგულირებელი ობიექტი, ფირმა თუ კომპანია საკმაოდ დროს, ძალას და თანხას დახარჯავს მარეგულირებელის „დასამუშავებლად“ და მასზე ზეგავლენის მოსახდენად. სახელმწიფოებრივი მოვალეობის გრძნობა ერთადერთი დამცველი იქნება მარეგულირებელისთვის ასეთი სახიფათო თამაშიდან თავის დასახსნელად. სარეგულირო ფირმას ხელთ აქვს ყველა შიდა ინფორმაცია თავის საკუთარ საქმიანობაზე. ინფორმაცია, რომლის მოპოვება მარეგულირებელისთვის დიდ ძალისხმევას მოითხოვს. თუ საჭიროა, ეს უკანასკნელი უკავშირდება მას, ვისაც ამოწმებს და ხანგრძლივი საუბრის შემდეგ შეიძლება გაჩნდეს ისეთივე „თანადგომის“ გრძნობა მოცემული პრობლემის გადასაწყვეტად, როგორსაც თავად დასარეგულირებელი ფირმა განიცდის.

კეთილდღეობის ეკონომიკის პირველი და მეორე თეორემის შედეგები ჰ.ლ. ვარიანის მიხედვით

კეთილდღეობის ეკონომიკის პირველი თეორემა ამბობს, რომ ნებისმიერი კონკურენტული წონასწორობა პარეტო-ეფექტიანია. კეთილდღეობის ეკონომიკის პირველი თეორემის დიდი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი გვაძლევს ზოგად მექანიზმს – კონკურენტულ ბაზარს, რომლის გამოყენებაც შეგვიძლია პარეტო-ეფექტიანი შედეგის მისაღებად. თუ არის მხოლოდ ორი აგენტი, მაშინ ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს – ამ ორი ადამიანისთვის ძალიან ადვილია გაერთიანება და ურთიერთხელსაყრელი გარიგებების შესაძლებლობათა შესწავლა. მაგრამ თუ, ბაზარზე ათასობით ან მილიონობით აგენტი, მაშინ იარსებებს ვაჭრობის პროცესის მარეგულირებელი სტრუქტურები. კეთილდღეობის პირველი თეორემა გვიჩვენებს, რომ კონკურენტულ ბაზართა ამ სტრუქტურას პარეტო-ეფექტიანი განაწილების მიღწევა შეუძლია.

კეთილდღეობის თეორიის უკეთ გასაგებად სასარგებლო იქნება რესურსთა განაწილების კიდევ ერთი ისეთი მექანიზმის განხილვა, რომელსაც ეფექტიან შედეგამდე არ მივყავართ. საამისოდ კარგი

მაგალითია როდესაც ერთი მომხმარებელი ცდილობს მოიქცეს ისე, როგორც მონოპოლისტი. განვიხილოთ ნახაზი 4.4.



ნახ. 4.4. მონოპოლია ევგორტის კოლოფში (კეთილდღეობის ეკონომიკის პირველი თეორემა)

დავუშვათ ბაზარზე A პიროვნება ცდილობს დაანესოს ფასები B-სთვის, ხოლო B ნყვეტს რამდენი იყიდოს ამ ფასებში. დავუშვათ ასევე, რომ A იცნობს B-ს „მოთხოვნის მრუდს“ და ეცდება შეარჩიოს ისეთი ფასი, რომ მიიღოს მაქსიმალური მოგება.

ამ პროცესის წონასწორობის შესწავლისას უნდა გავიხსენოთ მომხმარებლის „ფასი-მოხმარების მრუდის“ განმარტება. ფასი-მოხმარების მრუდი წარმოადგენს კალათებს, რომელსაც იგი შეიძენს განსხვავებული ფასების დროს¹. ანუ იგი აღწერს B-ს მოთხოვნის ქცევას. თუ ავაგებთ B-ს საბიუჯეტო წრფეს, მაშინ წერტილი, სადაც ეს წრფე B-ს ფასი-მოხმარების მრუდს გადაკვეთს, მოგვცემს B-ს ოპტიმალურ მოხმარებას.

ამგვარად, თუ A ინდივიდს სურს B-სთვის ისეთი ფასების შეთავაზება, რომ თავისი ეკონომიკური მდგომარეობა მაქსიმალურად გაიუმჯობესოს, მან უნდა იპოვოს ის წერტილი, სადაც A-ს უმაღლესი სარგებლიანობა ექნება. ასეთი არჩევანი ასახულია ნახაზზე 4.4.

ეს ოპტიმალური არჩევანი, როგორც ყოველთვის ხასიათდება **მხების პირობით**: A-ს განურჩევლობის მრუდი B-ს ფასი-მოხმარების მრუდის მხები იქნება. B-ს ფასი-მოხმარების მრუდზე, ის რომ A-ს განურჩევლობის მრუდს კვეთდეს, იქნებოდა წერტილი, რომელსაც A უპირატესობას მიანიჭებდა - ასე, რომ ეს არ იქნებოდა A-ს ოპტიმალური წერტილი. ნახაზზე 4.4 ასეთი წერტილია X. საჭიროა მხოლოდ საბიუჯეტო წრფის აგება საწყისი კალათის აღმნიშვნელი W წერტილისა და X წერტილის შეერთებით. ამ საბიუჯეტო წრფეზე არსებული ფასების პირობებში B აირჩევს X კალათას და A მიიღებს მაქსიმალურ სარგებლიანობას.

არის თუ არა ეს განაწილება პარეტო-ეფექტიანი? საზოგადოდ, პასუხი უარყოფითია. ამის დასაწახად შევნიშნოთ, რომ A-ს განურჩევლობის მრუდი არ იქნება ბიუჯეტის მხები X წერტილში და ამიტომ A-ს განურჩევლობის მრუდი არც B-ს განურჩევლობის მრუდის მხები იქნება. A-ს განურჩევ-

¹ გაიხსენეთ „მრუდი ფასი-მოხმარება“, მიკროეკონომიკა, ხარაიშვილი ე., გაგნიძე ი., ჩავლეიშვილი მ., ნაცვლიშვილი ი., ნაცვალაძე მ., სახელმძღვანელო, მესამე შეესებული და გადაამუშავებული გამოცემა, თბ., 2014, გვ. 88-89. ასევე იხილეთ: ვარიანი ჰ. ლ., მიკროეკონომიკა თანამედროვე მიდგომა, წიგნი 1, გამომც. დიოგენე 1998 წ. (Intermediate Microeconomics, A modern approach 1993, W. Norton & Company, inc.) გვ.138-139.

ლობის მრუდი არის B -ს ფასი-მოხმარების მრუდის მხები, მაგრამ იგი არ შეიძლება B -ს განურჩევლობის მრუდის მხები იყოს. *მონოპოლიური განაწილება პარეტო-არაეფექტიანია.*

კეთილდღეობის ეკონომიკის მეორე თეორემა ამტკიცებს, რომ გარკვეულ პირობებში თითოეული პარეტო-ეფექტიანი განაწილება კონკურენტულ წონასწორობას გვაძლევს. როგორია ამ თეორემის მნიშვნელობა? კეთილდღეობის ეკონომიკის მეორე თეორემიდან გამომდინარეობს, რომ შესაძლებელია განაწილებისა და ეფექტიანობის პრობლემათა განცალკევება. ნებისმიერი სასურველი პარეტო-ეფექტიანი განაწილება შეიძლება უზრუნველყოფილი იქნეს ბაზრის მექანიზმის მიერ. ბაზრის მექანიზმი განაწილების მიმართ ნეიტრალურია. როგორი კრიტერიუმებიც არ უნდა გვქონდეს კეთილდღეობის კარგი ან სამართლიანი განაწილებისთვის, შეგვიძლია ამას კონკურენტული ბაზრების გამოყენებით მივაღწიოთ.

ფასები საბაზრო სისტემაში ორგვარ როლს ასრულებენ: *ლოკალიზაცია და განაწილება*. ლოკალიზაცია ფარდობით დეფიციტს გვიჩვენებს, განაწილება კი განსაზღვრავს, თუ რა რაოდენობის განსხვავებული პროდუქტის შექმნა შეუძლია სხვადასხვა აგენტს. კეთილდღეობის მეორე თეორემა ამბობს, რომ ეს ორი როლი შეიძლება განცალკევდეს: შეგვიძლია გადავანაწილოთ, თუ რა ქონება აქვთ აგენტებს, შემდეგ კი შეგვიძლია ფასების გამოყენება ფარდობითი დეფიციტის მოსაძებნად.


ამ დროს ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ მსჯელობებს გაუგებრობამდე მივყავართ. ხშირად გვესმის, რომ სასურველია ფასდადების გადანყვეტილებებში ჩარევა, რათა განაწილება თანასწორობის საფუძველზე მოხდეს. ასეთ ჩარევას ჩვეულებრივ, შეცდომამდე მივყავართ. თითოეული აგენტისთვის წარმატების მიღწევის გზას თავისი ქმედების სოციალური ღირებულების გაცნობიერება და ისეთი არჩევანის გაკეთება წარმოადგენს, რომელიც ამ ღირებულებას ასახავს. ამის შედეგად სრულყოფილი კონკურენციის ბაზარზე ზღვრული გადანყვეტილება ამა თუ იმ პროდუქტის მეტი ან ნაკლები რაოდენობის მოხმარების შესახებ დამოკიდებული იქნება ფასზე – რაც ასახავს, თუ როგორია მომხმარებლების აზრით პროდუქტის ზღვრული ღირებულება. მსჯელობას ეფექტიანობის შესახებ, ჩვეულებრივ ზღვრულ გადანყვეტილებამდე მივყავართ – თითოეულმა პიროვნებამ ზუსტად უნდა გააცნობიეროს თავისი ზღვრული სარგებელი სამომხმარებლო გადანყვეტილებების მიღებისას.

სრულიად განსხვავებულია გადანყვეტილება იმის შესახებ, თუ რა რაოდენობა უნდა მოიხმარონ სხვადასხვა აგენტებმა. კონკურენტულ ბაზარზე ეს განისაზღვრება პიროვნების მიერ გასაყიდი რესურსების ღირებულებით. თეორიულად, სახელმწიფოს ყოველთვის შეუძლია გაანაწილოს მსყიდველობითი უნარი – სანყისი კალათები – მომხმარებლებს შორის ნებისმიერი გზით, რომელიც მას გამოსადეგად მიაჩნია.

სინამდვილეში სახელმწიფოს საერთოდ არ სჭირდება სანყისი ფიზიკური კალათების მომხმარებლებისთვის გადაცემა. მნიშვნელოვანია მხოლოდ ამ კალათების მსყიდველობითი უნარის გადაცემა. სახელმწიფოს შეუძლია დაბეგროს ერთი მომხმარებელი მისი სანყისი კალათის ღირებულების საფუძველზე და ეს თანხა მეორეს გადასცეს. თუ გადასახადები ემყარება მომხმარებლის სანყისი სასაქონლო კალათის ღირებულებას, არ იარსებებს ეფექტიანობის დანაკარგები. *მომხმარებლის მიერ მიღწეული შედეგი მხოლოდ მაშინაა არაეფექტიანი, როცა გადასახადი არჩევანზეა დამოკიდებული, ვინაიდან ამ შემთხვევაში გადასახადი გავლენას მოახდენს მომხმარებლის ზღვრულ არჩევანზე.*

სანყის კალათებზე დაწესებული გადასახადი მომხმარებელთა ქცევის ცვლილებას იწვევს. მაგრამ, კეთილდღეობის პირველი თეორემის თანახმად, ნებისმიერი სანყისი კალათიდან დაწყებული ვაჭრობა, პარეტო-ეფექტიან განაწილებასთან მიგვიყვანს. ამიტომ იმისგან დამოუკიდებლად, თუ როგორ გადანაწილდება სანყისი კალათები, საბაზრო ძალების მიერ განსაზღვრული წონასწორული განაწილება ისევ პარეტო-ეფექტიანი იქნება.

კეთილდღეობის ეკონომიკის მეორე თეორემა ამბობს, რომ თუ ყველა სუბიექტს აქვს ჩვენთვის ცნობილი მომხმარებელთა არჩევანის (სისავსე, ტრანზიტულობა, კლებადი ზღვრული სარგებლიანობა) შესაბამისი ქცევა, მაშინ ასეთ შემთხვევებში პარეტო-ეფექტიანობა კონკურენტულ წონასწორობამდე მიგვიყვანს. ნახაზზე 4.5 ასახულია კეთილდღეობის ეკონომიკის მეორე თეორემა: თუ ყველა აგენტის უპირატესობები ჩაზნექილია, მაშინ ყოველთვის იარსებებს ფასების ისეთი სიმრავლე, როდესაც თითოეული პარეტო-ეფექტიანი განაწილება, საწყისი კალათების სათანადო განაწილებისას საბაზრო წონასწორობა იქნება.




ნახ. 4.5. კეთილდღეობის ეკონომიკის მეორე თეორემა

ამის დამტკიცებას ნახაზზე 4.5 მოცემული გეომეტრიული მსჯელობა წარმოადგენს. პარეტო-ეფექტიანი განაწილებისას A აგენტისა და B აგენტის უპირატესი კალათები განსხვავებულია. ამგვარად, თუ ორივე აგენტის უპირატესობები ჩაზნექილია, შეგვიძლია გავავლოთ წრფე, რომელიც უპირატესი კალათების ამ ორ სიმრავლეს გაყოფს. ამ წრფის დახრილობა ფასების თანაფარდობის ტოლია და ნებისმიერი საწყისი კალათა, რომელიც აგენტებს ამ წრფეზე მოათავსებს, მიგვიყვანს საბოლოო საბაზრო წონასწორობამდე, თუ ეს კალათა საწყის პარეტო-ეფექტიან განაწილებას წარმოადგენს.

შესაძლებელია თუ არა ასეთი საბიუჯეტო წრფის ყოველთვის აგება? პასუხი უარყოფითია. ნახაზი 4.6 ამას ასახავს.

აქ X წერტილი პარეტო ეფექტიანია, მაგრამ არ არსებობს ფასები, რომლებისთვისაც A და B ინდივიდები ისურვებენ X წერტილით ასახული პროდუქტების მოხმარებას. ყველაზე სასურველი განაწილება ნაჩვენებია ნახაზზე 4.6, მაგრამ ასეთი ბიუჯეტის პირობებში A და B ინდივიდების მოთხოვნები ერთმანეთს არ ემთხვევა. A -ს სურს Y კალათა, ხოლო B -ს სურს X კალათა. ამ ფასების პირობებში მოთხოვნა არ უტოლდება მიწოდებას. აღსანიშნავია, რომ A პიროვნების განურჩევლობის მრუდები არაჩაზნექილ უპირატესობებს ასახავს (ჩაზნექილ სიმრავლეს ერთი თავისებურება გააჩნია – თუ ავიღებთ ამ სიმრავლის ნებისმიერ ორ წერტილს და მათ ერთმანეთთან წრფით დავაკავშირებთ, მაშინ მიღებული მონაკვეთი მთლიანად ამ სიმრავლეში აღმოჩნდება², რასაც ვერ ვიტყვით არაჩაზნექილ უპირატესობებზე. ეს კარგად ჩანს საბიუჯეტო წრფის მაგალითზე ნახაზზე 4.6).

² დაწვრილებით იხილეთ: ჰ. ლ. ვარიანი – მიკროეკონომიკა თანამედროვე მიდგომა, წიგნი 1, გამომც. დიოგენე 1998 წ. (Intermediate Microeconomics, A modern approach 1993, W. W. Norton & Company, inc.) გვ.64-68.



ნახ. 4.6. პარეტო ეფექტიანი განაწილება, რომელიც არ წარმოადგენს წონასწორობას

პარეტო-ეფექტიანობის საკითხები წინა თემებში უკვე განვიხილეთ. ამის შემდეგ შეიძლება შემდეგი შეკითხვა დაისვას: შესაძლებელია, თუ არა რომ ეკონომიკამ ამ სასურველ მდგომარეობას მიაღწიოს? პასუხი იმ დაშვებაზეა დამოკიდებული, რომელსაც გავაკეთებთ ეკონომიკის ვარიანტების შესახებ. დავუშვათ, რომ: 1. მწარმოებლები და მომხმარებლები სრულყოფილი კონკურენტები არიან (ანუ, არც ერთი მათგანი არ ფლობს საბაზრო ძალაუფლებას); 2. ბაზარი თითოეული პროდუქტისთვის არსებობს.

ასეთი დაშვების ფარგლებში ე.წ. კეთილდღეობის ეკონომიკის პირველი თეორემა ამტკიცებს, რომ რესურსთა განაწილება სწორედ პარეტო-ეფექტიანობის მიხედვით ხდება. ფაქტობრივად საოცარი შედეგი გამოვლინდა, რომელიც მიგვითითებს, რომ კონკურენტული ეკონომიკა რესურსების ეფექტიანად განაწილებას „ავტომატურად“ ახორციელებს, რასაც ცენტრალიზებული მმართველობა არ ესაჭიროება (აღამ სმითის „უხილავი ხელი“).

ძირითადი ტერმინები:

ბუნებრივი მონოპოლია
 საბაზრო ძალა და დომინირება
 ჰორიზონტალური შერწყმა
 ვერტიკალური შერწყმა

კომერციული შერწყმა
 საზოგადოებრივი დანაკარგები
 კეთილდღეობის ეკონომიკის პირველი თეორემა
 კეთილდღეობის ეკონომიკის მეორე თეორემა

შეკითხვები ბაკაორობისთვის:

1. ისაუბრეთ კონკურენციის საკანონმდებლო მოდელებზე;
2. ახსენით და გრაფიკულად გამოსახეთ მონოპოლიური ძალაუფლების საზოგადოებრივი დანახარჯები;
3. რა პირობებშია მონოპოლიის არსებობა გამართლებული? ანალიზი დაასაბუთეთ გრაფიკულად;

4. გრაფიკული ანალიზის დახმარებით ახსენით ბუნებრივი მონოპოლიის რეგულირების 3 მეთოდი;
5. ახსენით და გრაფიკულად გამოსახეთ კეთილდღეობის ეკონომიკის პირველი თეორემის შედეგები ჰ.ლ. ვარიანის მიხედვით;
6. ახსენით და გრაფიკულად გამოსახეთ კეთილდღეობის ეკონომიკის მეორე თეორემის შედეგები ჰ.ლ. ვარიანის მიხედვით.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. ეკონომიკა, დ. ბეგი, ს. ფიშერი, რ. დორნბუში, თარგმანი ინგ., თბ., 1999, გვ. 243-252.
2. ვარიანი ჰ. ლ., მიკროეკონომიკა თანამედროვე მიდგომა, წიგნი 1, გამომც. დიოგენე 1998 წ. (Intermediate Microeconomics, A modern approach 1993, W. W. Norton & Company, inc.) გვ.64-68.
3. ვარიანი ჰ. ლ., მიკროეკონომიკა თანამედროვე მიდგომა, წიგნი 2, გამომც. დიოგენე 1998 წ. (Intermediate Microeconomics, A modern approach 1993, W. W. Norton & Company, inc.) გვ. 234-246.
4. ფეტელავა ს., კონკურენციის თეორია და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში, თბ., 2007.
5. Economics, Begg D., Fisher S., Dornbusch R., Third Edition, McGRAW-HILL BOOK COMPANY, UK, 1991, p. 299-312;
6. როუზენი ჰ.ს., საჯარო ფინანსები, ტომი პირველი, თბ., 2006, გვ. 46-56.